ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3930842

ნომერი: AR1592873

თარიღი : 15.04.2018

გაცემის თარიღი : 25.04.2018

გაცნობის თარიღი : 25.04.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზაჰესის დასახლება, ავჭალის ქუჩა N53;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არსენ ახვერდოვი პ/ნ 43001011164
- თბილისი გლდანი II მ/რ კორ. 36 ბ. 10

ნომენკლატურა :

- დამხმარე - ტექნიკური შენობები
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: №3334560 (ცვლილება № 3649584; 01/11/2017)
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 29.06.2017

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: დამხმარე - ტექნიკური შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: შალვა ხუბუა
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "დისქავერ დეველოპმენტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405130923

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ბასა გრუპ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400171513
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: არსენ ახვერდოვი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 44001011164

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1600.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 226.1
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 222.7
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 222.7
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 2470.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 2357.2
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 113.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 10.93
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 10.43
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.5
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ1=226.1მ2; რზ3=92.1=0.1; სზ5=134.0=0.3
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ2=226.1მ2; რზ3=92.1=0.1; სზ5=134.0=0.3
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ3=636მ2; რზ3=494.8=0.5; სზ5=141.2=0.3

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურის მიერ 2017 წლის #3334560 ბრძანებით გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, სადაც საპროექტო ობიექტის ფუნქცია დაფიქსირდა სამრეწველო საქონლის მაღაზია, ზონისა და მასში დაშვებული შენობა-ნაგებობის ფუნქციონერებისთვის განკუთვნილი ადმინისტრაციული შენობა (ოფისი), საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სახელოსნოები, გარაჟები და საწყობები. 2018 წლის 15 აპრილის #AR1592873 განცხადებით საკითხი დაყენებული გაქვთ დამხმარე - ტექნიკური შენობების ნომენკლატურით, სამსახურის 2018 წლის 23 აპრილის #3926481 გადაწყვეტილებით კი დაგევალად საპროექტო ობიექტის ზუსტი დანიშნულების დაფიქსირება. თქვენ მიერ ამ ეტაპზე განმარტებით ბარათში დაფიქსირდა, რომ საპროექტო ობიექტი წარმოადგენს სატვირთო ავტომობილების სარემონტო შენობას, რომელსაც ასევე შეესაბამება წარმოდგენილი ობიექტი თავისი გეგმარებითი და ვიზუალური ნაწილით. აღნიშნული გარემოებიბიდან გამოვლინდა, რომ საპროექტო ობიექტი თავისი ფუნქციური დანიშნულებით შეუსაბამობაში მოდის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების #3334560 ბრძანებით გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტის(სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ფუნქციით) პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით.

აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თქვენ დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა

5 (სზ-5) და სარეკრეაციო ზონა 3(რზ-3). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების დანართი 1-ს მიხედვით(ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დასაშვები და საგამონაკლისო სახეობები), საცხოვრებელ ზონა 5 და სარეკრეაციო ზონა 3 ზონებში , დაუშვებულია საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების, სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ფუნქციით განთავსება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.